ინტერესის გამოხატვის მოთხოვნა
(საკონსულტაციო მომსახურება – ფირმების შერჩევა)

რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი - დამატებით დაფინანსება – IDA 4824

ყაზბეგის, დუშეთის, აბასთუმნის განვითარების სტრატეგია მდგრადი განვითარებისათვის

პროექტის საიდენტიფიკაციო ნომერი: IDA/RMIDP-AF/CS/CQS/07-2014

საქართველომ მიიღო კრედიტი მსოფლიო ბანკიდან **რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის - (დამატებით დაფინანსება)** დასაფინანსებლად და აპირებს ამ საკრედიტო თანხის ნაწილი გამოიყენოს საკონსულტაციო მომსახურებისათვის.

საკონსულტაციო მომსახურება ("მომსახურება") გულისხმობს ყაზბეგის, დუშეთისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების (კლიენტები) დახმარებას საშუალო და გრძელვადიანი ერთობლივი განვითარების სტრატეგიების შემუშავებაში.

სტრატეგია ქვემოთმოყვანილი ორი ძირითადი პრინციპის საფუძველზე აიგება:

<u>ა) ურბანული მმართველობა</u>: მუნიციპალური მმართველობის სტრუქტურის გაუმჯობესება, განსაკუთრებული აქცენტით ქალაქის მართვის და მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესებაზე, და ადგილობრივი შემოსავლების ნაკადის გაზრდაზე.

ბ) <u>ფიზიკური განვითარების გეგმა</u>: სტრატეგიის დაგეგმვა ქალაქის ფიზიკური ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად (განსაკუთრებით ურბანული ტრანსპორტისა და მყარი ნარჩენების განკარგვის მიმართულებით), სათანადო გარემოს შექმნის მხარდაჭერა, ურბანული აღორძინების პროექტებისა და მოქალაქეების საჭიროებების განსაზღვრა გაუმჯობესებულ ინფრასტრუქტურასა და მუნიციპალურ მომსახურებასთან დაკავშირებით.

კონსულტანტმა უნდა შეასრულოს და წარმოადგინოს ქვემოთმოყვანილი დავალებები:

<u>ურბანული მმართველობა</u>:

- მიმოიხილოს მუნიციპალური მმართველობა, ფინანსები, პროცედურები და შემოსავლების გაზრდის შესაძლებლობები და წერილობითი სახით წარმოადგინოს ანგარიში სტრატეგიის შესახებ, კონკრეტული რეკომენდაციებითა და სამოქმედო გეგმით.
- გადახედოს მოქალაქეებთან კონსულტაციების მექანიზმებს, ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას, მოქალაქეთა პრეტენზიების დაკმაყოფილების საშუალებებს და წერილობითი სახით წარმოადგინოს ანგარიში სტრატეგიის შესახებ, კონკრეტული

რეკომენდაციებითა და სამოქმედო გეგმით.

<u>ფიზიკური განვითარების გეგმა</u>:

- გაანალიზოს გარემო პირობებთან დაკავშირებული გამოწვევები და მოამზადოს კონკრეტული წინადადებები სამ ქალაქში სათანადო გარემოს შესაქმნელად
- გაანალიზოს სიღარიბის სტრუქტურა, უმუშევრობა, მარკეტინგული და ბრენდის ჩამოყალიბებისათვის საჭირო მიდგომები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება, მცირე და საშუალო ბიზნესების ხელშეწყობა, ბიზნეს საქმიანობის ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა და სხვა ბიზნეს-ეკონომიკური საკითხები.
- განსაზღვროს მდგრადი მიწის ათვისების სტრატეგია და ქალაქში განსახორციელებელი მიწის ათვისების, ხელახალი განაშენიანების და ურბანული აღორძინების მომავალი პროექტები და გაანალიზოს მათი ეკონომიკური მიზანშეწონილობა და შესატყვისობა საბაზრო მოთხოვნებთან;
- გაანალიზოს არსებული მუნიციპალური მეურნეობა და ინფრასტრუქტურული ჩავარდნები და კრიტიკული ელემენტები, მიმოიხილოს დასრულებული კვლევები და განსაზღვროს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სამი ქალაქის ფიზიკური ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად (განსაკუთრებით კი საქალაქო ტრანსპორტის და მყარი ნარჩენების განკარგვის მიმართულებით).

კონსულტანტი აგრეთვე განახორციელებს ქვემოთმოყვანილ დავალებებს, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიის შეუფერხებლად მომზადებას:

- უზრუნველყოფს ქალაქის განვითარების სტრატეგიის გუნდების წევრების ორგანიზებულ ტრეინინგს სამუშაო ადგილზე, რათა გაუმჯობესოს მათი ცოდნა და ქალაქის განვითარების სტრატეგიის მომზადების, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისა და ქალაქის განვითარების სტრატეგიის და მონიტორინგი და შეფასების უნარები.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 2 თვეს.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს ("კონსულტანტებს"), რათა მათ გამოხატონ ინტერესი ზემოხსენებულ მომსახურებაზე. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება და ინფორმაცია იმის დასტურად, რომ ისინი კვალიფიცირებულნი არიან ზემოხსენებული მომსახურების დარგში. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს ქვემოთმოყვანილით: კორპორატიული პროფილი, გამოცდილების ხანგრძლივობა, საპროექტო საქმიანობის ანალოგიური გამოცდილება, წამყვანი სპეციალისტების რესურსები, კომპანიის ძირითადი საქმიანობა. საბოლოო სიაში მოსახვედრ შერჩევის კრიტერიუმებს წარმოადგენს:

ა) ქალაქის განვითარების სტრატეგიის და SWOT ანალიზის ცოდნა, ქ. თბილისის მსგავსი სიდიდის სულ მცირე ერთი ქალაქის განვითარების სტრატეგიის პროცესის განხორციელების გამოცდილება;
ბ) რეგიონული სივრცობრივი განვითარების პროექტების განხორციელების მინიმუმ 10-წლიანი გამოცდილება;

გ) ქალაქის კონცეფციის და გენერალური გეგმარების მინიმუმ 10-წლიანი გამოცდილება;
დ) ფიზიკური, ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, კულტურული, ინფრასტრუქტურული, განსახლების და ტექნიკური გარემოს ანალიზის მინიმუმ 10-წლიანი გამოცდილება; სასურველია, რომ კონსულტანტს ჰქონდეს აღმოსავლეთ ევროპაში მუშაობის გამოცდილება.

<u>შენიშვნა: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი უფლებას იტოვებს გადაამოწმოს წარმოდგენილი რეკომენდაციები და შეფასების მიზნებისათვის გამოიყენოს მოპოვებული ინფორმაცია.</u>

სახელმძღვანელო პრინციპების: კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ IBRD-ის სესხებისა და IDA-ს კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში (2001 წლის გამოცემა) პარაგრაფზე 1.9. ("სახელმძღვანელო პრინციპები კონსულტანტებისათვის"), სადაც მითითებულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით.

თავიანთი კვალიფიკაციის ასამაღლებლად კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ სხვა ფირმებთან. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისათვის მისაღები გაერთიანების ფორმას წარმოადგენს ქვე-კონსულტანტობის ან ერთობლივის საწარმოს ფორმა და განაცხადში ნათლად უნდა იქნას მითითებული გაერთიანების ტიპი. კონსულტანტის კორპორატიული გამცდილების შეფასებისას გათვალისწინებული არ იქნება ქვე-კონსულტანტების გამოცდილება).

ანალოგიურ პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება №1 ფორმით უნდა იქნას წარმოდგენილი, რომელიც მგფ-ს ვებგვერდზე იქნება ატვირთული შემდეგ ბმულზე: http://mdf.org.ge/wp-content/uploads/2014/02/Form-for-References.pdf

კონსულტანტს რეკომენდაციას ვუწევთ თავის ინტერესის გამოხატვის წერილი 30 გვერდიანი ფორმატით წარმოადგინოს. კომპანიის ბროშურები შესაძლოა წარმოდგენილი იქნას დანართის სახით, და მასზე არ გავრცელდება 30-გვერდიანი ლიმიტი.

კონსულტანტი შეირჩევა კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული (CQS) შერჩევის მეთოდით, კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ IBRD-ის სესხებისა და IDA-ს კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში (2011 წლის იანვრის გამოცემა) III განყოფილებაში მოცემული მეთოდის მიხედვით.

დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10.00-დან 18.00 საათამდე მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია მგფ-ს შესყიდვების სამსახურში, ტელეფონის ნომერი: +99532 2437001, შიდა ნომერი 405, ქ-ნი თინათინ კაჭკაჭიშვილი, შესყიდვების სპეციალისტი.

განცხადება ინტერესის გამოხატვაზე მოწოდებულ უნდა იქნას ინგლისურ ენაზე წერილობით ქვემოთმოყვანილ მისამართზე (პირადად, ელ-ფოსტის, ფაქსის ან საკურიერო ფოსტის მეშვეობით) არაუგვიანეს **2014 წლის 31 ოქტომბრის 17:00 საათისა.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე
ბ-ნი ილია დარჩიაშვილი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზირი 150, თბილისი 0112, საქართველო,
ტელ: +99532 2437001 ან 02/03/04
ფაქსი: (+995-32) 2437077
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge